პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 178 (6233)

1978 წ. 10 სექტემბერი, კვირა

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ვინ როგორ მუშაობს

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის უმაღლესი სპორტული ოსტატობის განვითარებისთვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 8 სექტემბრისთვის ასეთია:

I ჯგუფი — ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების ჯგუფი.

| | ადგილები I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი | 196 | 177 | 168 | 3744,0 |
| 2. აფხაზეთის ასსრ | 5 | 10 | 10 | 194,0 |
| 3. ქ. ქუთაისი | 9 | 7 | 13 | 185,0 |
| 4. აჭარის ასსრ | 15 | 3 | 9 | 176,0 |
| 5. ქ. რუსთავი | 8 | 12 | 9 | 172,0 |
| 6. ქ. გორი | 6 | 9 | 6 | 162,0 |
| 7. ქ. ფოთი | 2 | — | 2 | 34,0 |
| 8. სამხრეთ ოსეთის ა. ო. | — | 2 | — | 6,0 |
| 9. ქ. ჭიათურა | — | — | 1 | 2,0 |
| 10. ქ. წყალტუბო | — | — | 1 | 0 |

II ჯგუფი — სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჯგუფი

| | I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო" | 53 | 41 | 56 | 1107,0 |
| 2. „ბურევესტნიკი" | 51 | 49 | 31 | 941,0 |
| 3. „შრომითი რეზერვები" | 35 | 34 | 30 | 711,0 |
| 4. „განთიადი" | 23 | 30 | 31 | 536,0 |
| 5. „ლოკომოტივი" | 25 | 15 | 10 | 459,0 |
| 6. „სპარტაკი" | 23 | 26 | 22 | 441,0 |
| 7. ასკ | 27 | 22 | 24 | 382,0 |
| 8. „კოლმეურნე" | 12 | 15 | 23 | 254,0 |
| 9. „ვოდნიკი" | 12 | 2 | 6 | 181,0 |

III ჯგუფი — რესპუბლიკის რაიონები

| | I | II | III | ქულები |
|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომის რაიონი (ზამთრის სახეობები) | 6 | 3 | 5 | 109,0 |
| 2. მახარაძის რაიონი | 2 | — | — | 85,0 |
| 3. მცხეთის რაიონი | 2 | 2 | 1 | 36,0 |
| 4. კასპის რაიონი | 5 | 2 | 3 | 34,0 |
| 5. ზესტაფონის რაიონი | 1 | — | — | 15,0 |
| 6. ახალციხის რაიონი | — | 2 | — | 15,0 |
| 7. საჩხერის რაიონი | — | 2 | — | 12,0 |
| 8. წითელწყაროს რაიონი | — | 1 | — | 12,0 |
| 9. თელავის რაიონი | 1 | — | 4 | 0 |
| 10. ახმეტის რაიონი | 1 | 1 | — | 0 |
| 11. მესტიის რაიონი | — | — | 1 | 0 |

შენიშვნა: „დაკავებული ადგილების" გრაფაში გათვალისწინებულია სპორტის ყველა სახეობაში მოპოვებული ადგილები, ხოლო „მოგროვებული ქულების" გრაფაში შეტანილია მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მიღებული ქულები.

საქართველოს სპორტკომიტეტის დაგეგმვისა და აღრიცხვის განყოფილება.



# სასპარტაკიადო სტარტებს ზრუნვა და ყურადღება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებაში გაიმართა თათბირი, რომელზეც განხილული იქნა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების მიმდინარეობისა და მის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სპორტული ორგანიზაციებისა და ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა თათბირის მონაწილეებს მოუთხრო სასპარტაკიადო შეჯიბრების ფართო გაქანების და ფინალებისთვის მზადების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ახლა, სპარტაკიადის I და II ეტაპების შეჯიბრებები ადგილებზე ყველგან სათანადო დონეზე არ ტარდება. არიან კოლექტივები, რომლებსაც საერთოდ არ ჩაუტარებიათ შეჯიბრებები სპარტაკიადის პროგრამით.

სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები, რომელიც 1979 წლის 21 ივლისს დაიწყება, იქნება საბჭოთა სპორტის მიღწევათა დათვალიერება და ოლიმპიადა-80-ისთვის მზადყოფნის შემოწმება. ამასთან დაკავშირებით თათბირზე ლაპარაკი იყო ოლიმპიური ობიექტების დადგენილ ვადებში აშენებისა და რეკონსტრუქციის თაობაზე, ამ ობიექტთა ფუნქციონირებაზე, იასპარეზებენ სპარტაკიადის მონაწილე საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენები. ითქვა, აგრეთვე, სპორტული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებით სპარტაკიადის მიმდინარეობისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების რეგულარულად გაშუქების აუცილებლობაზე.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე მ. გრამოვი. (საკდესი).

## ველოსპორტი

**საფრანგეთის** გზებზე მიმდინარე საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის მესამე ეტაპზე (147 კმ) ყველას აჯობა ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ველოსიპედისტმა მ. კლასმა — 4:01.9. ასეთივე შედეგით მეორე და მესამე ადგილები მიეკუთვნათ ს. მუტერს (შვეიცარია) და კუბიშეველ ა. ავერინს.

სამი ეტაპის ჯამში ლიდერის მაისურს ინარჩუნებს მეორე კუიბიშეველი სპორტსმენი ს. სუხორუჩენკოვი. იგი ახლა 51 წამით სჯობნის ლენინგრადელ ს. მოროზოვს, რომელიც მეორე ადგილზეა.

გუნდურ ჩათვლაში დიდი უპირატესობით ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც შვეიცარიის კოლექტივს 4 წუთითა და 1 წამით უსწრებს.

# სამმაგი გამარჯვება

**თბილისში** დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა, რომელიც ამავე სპორტსაზოგადოების კორტებზე მიმდინარეობდა. ასპარეზობაში 48 ვაჟი და 42 ქალი მონაწილეობდა, რომელთა შორის, სამწუხაროდ არ იყვნენ საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერი ა. მეტრეველი (იგი ამჟამად თურქეთშია, სადაც დევისის თასის გათამაშებისათვის ემზადება, სსრ კავშირი — მონაკოს მატჩისათვის) და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ნ. ჩმირიოვა.

თბილისის ტურნირის ფავორიტებად სპეციალისტებს ამჯერად თავიდანვე მოსკოველი მარინე ჩუვირინა და ლვოველი სერგეი გრუზმანი მიაჩნდათ. პირველი მათგანი მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი სპორტსმენია, ხოლო მეორე — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მზარდ ჩოგბურთელად ითვლება.

პროგნოზები სავსებით გამართლდა — მ. ჩუვირინამაც და ს. გრუზმანმაც სამივე თანრიგში დამაჯერებელი თამაში აჩვენეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ქართველ ჩოგბურთელ ქალთაგან საუკეთესო იყო ნ. თუხარელი (მე-8 ადგილი).

ვაჟთა შორის კარგად წარმართა ტურნირი ახალგაზრდა ლენინგრადელმა ვ. ბოგდანოვმა, რომელმაც დაამარცხა ჯერ ლვოველი ლ. ზალუენი, შემდეგ თანაგუნდელი ს. ვასილევსკი, მაგრამ ფინალში გასვლისათვის მას „გზა გადაუღობა" ს. გრუზმანმა. მეორე ფინალისტი გამოვლინდა ტალინელ ა. მილკისა და მინსკელ ა. კაცნელსონის შეხვედრაში. გაიმარჯვა ტალინელმა. თავის მხრივ ა. მილკიზე აშკარა უპირატესობა ჰქონდა ფინალში ს. გრუზმანს, რომელმაც ტექნიკური, გაზრებული თამაშით გაიმარჯვა სამ პარტიაში — 6:2, 7:6, 6:4. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ვაჟები ამ შეჯიბრებაში სუსტად გამოვიდნენ — რვა უძლიერესთა შორისაც ვერ მოხვდნენ.

ვაჟთა წყვილების ტურნირი სენსაციით დაიწყო — პირველსავე

## ჩოგბურთი

### „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა

ტურში დამარცხდნენ გასული წლის ჩემპიონები, ტალინელები ს. ევინგი და ტ. კივისტიკი. ცხარე ბრძოლაში მათ სძლიეს 16 წლის ჩოგბურთელებმა — ე. მარკინმა (ტაშკენტი) და კ. რაჩკოვსკიმ (კიევი). ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა ფინალი ს. გრუზმან — ვ. პილიპჩუკსა (ორივე — ლვოვი) და გ. ავდეევ — ვ. კარპოვს (ორივე — კიევი) შორის. ხუთი პარტიის ჯამში გაიმარჯვეს ლვოველებმა — 7:6, 1:6, 6:3, 5:7, 6:1.

ქალთა წყვილების ფინალში მ. ჩუვირინა — ლ. ოხრიმენკომ დაამარცხეს ს. კორზუნი — ე. ლაპიმაა (ტალინი) — 6:4, 7:6.

შეჯიბრების უკანასკნელი აკორდი იყო შერეული წყვილების შეხვედრა: მ. ჩუვირინა — ს. გრუზმანი და ე. ლაპიმაა — ტ. კივისტიკი. ჩემპიონებმა მოიგეს პირველი პარტია — 6:4, მეორეში დამარცხდნენ 2:6, ხოლო მესამეში ანგარიშით 6:3 დამაჯერებელი წერტილი დაუსვეს თავიანთ გამოსვლას თბილისში.

აი, რა გვითხრა შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა — საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. დაშევსკიმ (ტაშკენტი):

— დინამოელთა ტრადიციული შეჯიბრება ამჯერად თბილისში ჩავატარეთ, სწორედ იმ მიწაზე, რომელზეც აღიზარდნენ ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელები ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ა. ივანოვა, რ. აბჟანდაძე, ნ. თუხარელი, ი. ერმოლოვა, ხოლო ადრე — ა. მდივანი, ე. ნეგრებეცკი, ძმები არჩილ და ვანო ელერდაშვილები, ბ. სერებრიანიკოვი, გ. კოკაია, ვ. ურაევსკი... სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქვეყნის დინამოელები დღესაც განაგრძობენ თავიანთ შესანიშნავ წინამორბედთა ტრადიციებს. თბილისის ტურნირზე მთელი რიგი საინტერესო ახალგაზრდა ჩოგბურთელი ვიხილეთ: ვ. ბოგდანოვი, ე. ეშჩენკო, ვ. ოვჩინიკოვა, დები ალა და იულია სალნიკოვები, მარინე და ირინე მალაციძეები. დასასრულს უნდა აღვნიშნო თბილისის ტურნირის კარგი ორგანიზაცია და მონაწილეთა გულთბილი მიღება.

**ო. ნოზაძე.**





სურათებზე: მარინე ჩუვირინა და სერგეი გრუზმანი.

გ. ახალაძის ფოტო.





ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს.

# საპრიზო ადგილების მიღმა

სპორტულმა შეჯიბრებამ შეღავათები არ იცის. მუდამ ძალაშია ერთი შეხედვით ულმობელი, მაგრამ სამართლიანი კანონი — ძლიერი იმარჯვებს სუსტზე (რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები, მაგრამ იმდენად იშვიათი, რომ მათზე არც ლაპარაკობენ). ვინც მეტი იშრომა და ოფლი ღვარა, გამარჯვება უთუოდ მას რჩება. ეს კანონზომიერება რატომღაც ხშირად ავიწყდებათ ჩვენს მწვრთნელებსა და სპეციალისტებს და როცა მარცხზე, ჩამორჩენაზე ჩამოვარდება საუბარი, ათას რამეს მოიმიზეზებენ ხოლმე: ბაზებისა და ინვენტარის უკმარობას, სექციების სიმცირეს, მაგრამ ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი თვითონვე რომ არიან, ამაზე არავინ არაფერს ამბობს. რა თქმა უნდა, ბაზებიც საჭიროა, ინვენტარიც, სპორტული სექციების სიმრავლეც, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი მაინც მწვრთნელის მონდომება და კვალიფიკაცია, აღსაზრდელის ბოლომდე შეცნობის, მისი მონაცემების მაქსიმალურად განვითარების ხელოვნებაა. როგორც ჩანს, სწორედ ამაში მოიკოჭლებენ ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ მოცურავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელები, თორემ მოსწავლეთა XV სპარტაკიადის პირველი სამი დღის შედეგები უთუოდ უკეთესი იქნებოდა. ტაშკენტში, სადაც სპარტაკიადა მიმდინარეობს, უკვე გათამაშდა მედლების 10-10 კომპლექტი გოგონათა და ჭაბუკთა შორის, მაგრამ საპატიო კვარცხლბეკზე ვერც ერთი ჩვენი მოცურავე ვერ ვიხილეთ. არადა ცურვა სპორტის ის სახეობაა, რომელიც მძლეოსნობასთან ერთად სპარტაკიადაზე ყველაზე მეტ ქულას იძლევა. მართალია, 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე გოგონებმა (ლ. ციბულსკაია, მ. დანელიშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი, ი. გერასიმოვა) და ვაჟებმა (ა. გორბუნოვი, ნ.

(დასასრული მე-2 გვ.).

# საკრივზო ადგილების მიღმა

**დასასრული**

მოროზოვი, ვ. სტრუჩალინი, ა. შირიკინი) საქართველოს აბსოლუტური რეკორდები დაამყარეს (შესაბამისად 4.18,0 და 3.46,1), მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მედლების მოსაპოვებლად. საბოლოოდ გოგონათა კვარტეტი IX ადგილზე გავიდა, ჰაბუკების კი — მეოთხეზე. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს თბილისელმა გოგონებმა მ. დანელიშვილმა (2.17,2) და ი. გერასიმოვამ (2.17,5), აგრეთვე, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟებმა — ვ. სტრუჩალინმა (4.16,2), ა. გორბუნოვმა (4.17,2) და ა. შირიკინმა (4.19,0), მაგრამ ფინალში მაინც ვერ მოხვდნენ. შედარებით კარგად იასპარეზა მახინჯაურის რუსული საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. მოროზოვმა: მან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში VII ადგილი დაიკავა. სამი დღის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის მოცურავე გოგონათა ნაკრებს 31,5 ქულა აქვს და გუნდურ ჩათვლაში XIII ადგილზეა. ვაჟები კი 152 ქულით VI ადგილზე არიან. დღეს დილით გაიმართება ფინალური გაცურვები პროგრამით გათვალისწინებულ დანარჩენ დისტანციებზე. საღამოს კი მოცურავეთა შეჯიბრება საზეიმოდ დაიხურება.

მოკრივეთა ასპარეზობაში გამარჯვებულები 13 სექტემბერს ფინალური შეხვედრების შემდეგ გამოვლინდებიან, მანამდე კი ტყავის ხელთათმნის ნორჩ ოსტატებს „შრომითი რეზერვების" დარბაზში უშეღავათო ორთაბრძოლები აქვთ გაჩაღებული. ჩვენი რესპუბლიკის 11 მოკრივე (გუნდში სულ 12 წევრია) უკვე გამოვიდა რინგზე. შვიდმა დამარცხება განიცადა, 4 სპორტსმენი კი მეოთხედფინალში გავიდა. მოკრივეთა შეჯიბრების პირველი და მეორე დღის შედეგებზე უკვე ვიტყობინებოდით. 8 სექტემბერს ფოთელმა ზ. ტიბუამ (50 კგ) წააგო ო. ზადოროჟნისთან (უკრაინა), ხოლო თბილისელი ა. უსუპიანი (54) დამარცხდა ი. კუზმენკოსთან (ბელორუსია). საინტერესოდ წარიმართა გ. ჯალაღონიას (74) და ა. ზაევის (რსფსრ) ორთაბრძოლა. ქართველი მოკრივე მთელი სამი რაუნდის განმავლობაში უტევდა, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც ზაევს მიაკუთვნეს. ფოთის მე-7 საშუალო სკოლის მოსწავლემ დ. ყურაშვილმა (54 კგ) ქულებით გაიმარჯვა ა. გატაულინთან (ტაჯიკეთი) და მეოთხედფინალში გავიდა. მეოთხედფინალში იასპარეზებს, აგრეთვე, სოხუმელი ა. ქვილითაია (66), რომელმაც პირველივე რაუნდში ფარხმალი დააყრევინა გ. ზაილერს (ყაზახეთი).

მოფარიკავე გოგონათა წინასწარი შეხვედრები ალმავლობით ჩაატარა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ე. მარსაგიშვილმა და ფინალში გავიდა. დასკვნით ტურნირში ელისომ მხოლოდ ერთი გამარჯვების მოპოვება შეძლო და საბოლოოდ VI ადგილზე დარჩა. VI გუნდური ადგილი დაიკავეს, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის ხმლით მოფარიკავეებმა (ა. პაიჭაძე, დ. თურქია, [illegible] ნიკოლეიშვილი, მ. ბაზაძე).

[illegible] საქართველოს წყალში მხტომელი გოგონები [illegible] შეჯიბრების პირველი სამი დღის შედეგების მიხედვით ისინი III ადგილზე იმყოფებიან, რსფსრ-ისა და ლენინგრადის გუნდების შემდეგ. უმცროსი და უფროსი ასაკის ბიჭებს შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში V ადგილი დაიკავა თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. ელბაქიძემ. ახლა ბრძოლაში კოშკიდან მხტომელები ჩაებმებიან. წყალში მხტომელთა შეჯიბრება 12 სექტემბერს დამთავრდება.



# ყაზბეგის მყინვარებზე, კლდეებზე, მდინარეზე...

**რამდენიმე** დღეა ყაზბეგის რაიონი აფუსფუსებულ სკას ჰგავს. აქ თავი მოუყრიათ სამთო ტურიზმის მიმდევრებს, რომლებიც II საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას. ხვალ მოეწყობა შეჯიბრების საზეიმო გახსნა, ხოლო ასპარეზობა ზეგ აიღებს სტარტს.

— ამ დიდ ღონისძიებაში, რომელიც კომკავშირის 60 წლისთავს ეძღვნება, მონაწილეობას მიიღებენ რსფსრ-ს საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების, ყველა მოკავშირე რესპუბლიკების, „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და თავდაცვის სამინისტროს სამთო ტურისტები, — გვიამბობს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე, — ამას გარდა, ჩამოვლენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის დელეგაციები. სულ 43 გუნდი იქნება. აქედან ოთხ კოლექტივს უკრაინა, ხოლო ორს საქართველო გამოიყვანს. შეჯიბრებაზე, როგორც საპატიო სტუმრები, ჩამოვლენ საბჭოთა ალპინიზმისა და ტურიზმის ვეტერანები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. აბალაკოვი, ა. გუსაკი... საპატიო სტუმართა შორის იქნებიან დიდი სამამულო ომის ვეტერანი სპორტსმენები ლ. ფანჯაკიძე, ა. გვალია, ბ. ხერგიანი და სხვები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1943 წელს იალბუზიდან გერმანელ ფაშისტთა დროშის ჩამოხსნაში. სულ 100-მდე სტუმარი გვეყოლება. რა თქმა უნდა, იქნებიან პრესის წარმომადგენლები, რომლებსაც პრესცენტრი მოემსახურება. თვითონ მონაწილეთა რაოდენობა 400-მდე იქნება, ხოლო შეჯიბრებას 100 მსაჯი მოემსახურება. მათთვის 6-დან 9 სექტემბრამდე სპეციალური სემინარი ჩატარდა.

**— წარმატების როგორი შანსები აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სამთო ტურისტებს?**

— პირველ საკავშირო შეკრება-შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებმა XIII ადგილი დაიკავეს. 30-ზე მეტ გუნდს შორის, ასეთი შედეგი, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც ურიგო არაა, ოღონდაც სხვებისთვის. ჩვენი რესპუბლიკისთვის, სადაც სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის დიდებული ბუნებრივი პირობებია, რა თქმა უნდა, XIII ადგილი სასიხარულო არაა. ახლა, ყაზბეგში, იმედია, ჩვენი ტურისტები წინ გადადგამენ ნაბიჯს. მით უმეტეს ისინი მშობლიურ, ნაცნობ მთებში, მყინვარებსა და მდინარეზე იასპარეზებენ. შინ კი, როგორც ამბობენ, კედლებიც ეხმარება კაცს.

**— სამთო ტურიზმში ასეთი დიდი შეჯიბრება პირველად ეწყობა ჩვენში. ამდენად, საქართველოს სპორტის მოყვარულთათვის ნაკლებადაა ცნობილი ტურიზმისა და სპორტის ეს სახეობა...**

— შეჯიბრების პროგრამაში სამი ეტაპია: კლდოვანი, ყინულოვანი და მდინარის გადალახვა. კლდოვანი ეტაპი გველეთის რაიონში ჩატარდება. აქ შეჯიბრება თითქმის ისევე მოეწყობა, როგორც მეკლდეურთა შორის. ყინულოვანი ეტაპი გერგეტის მყინვარზე, 3000 მეტრის ფარგლებში გაიმართება. ამ ეტაპზე ტურისტებმა მთამსვლელთა ჩვევები უნდა გამოავლინონ. მდინარის გადალახვაში შეჯიბრება თერგზე გაიმართება. ამგვარი დაბრკოლების თოკებით დაძლევა ხშირად უხდებათ როგორც სამთო ტურისტებს, ისე ქვეითი ტურიზმის მიმდევრებსა და მთამსვლელებს. ისე რომ, როგორც ხედავთ, სამთო ტურიზმი სპორტის მრავალი სახეობის წარმომადგენელთა ჩვევებს მოითხოვს. ყოველივე ამას გარდა ჩატარდება კონკურსი ტურიზმის საუკეთესო პროპაგანდისთვის, კერძოდ, მოეწყობა სამოყვარულო ფილმების ჩვენება, ფერადი დიაპოზიტივების დემონსტრაცია, კონკურსი საუკეთესო ტურისტული სიმღერებისთვის და სხვა.

**— შეკრება-შეჯიბრება 18-ში დაიხურება და მანამდე ალბათ კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიება გაქვთ დაგეგმილი.**

— რა თქმა უნდა. ტურისტები გვირგვინებით შეამკობენ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალს, ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლს. „შრომითი დესანტი" რაიონში შეასრულებს რაიმე სამუშაოს. ამას გარდა, საქართველოს ალპური კლუბი შეკრება-შეჯიბრების მონაწილეებისთვის მოაწყობს ალპინიადას მყინვარებზე, სადაც მემორიალური დაფა დაიდგმება. ერთი სიტყვით, ტურისტებს მოწყენისთვის დრო არ ექნებათ.

**საუბარი ჩაიწერა ა. გურასაშვილმა.**

* * *



**სურათებზე: გერგეტის მყინვარი, სადაც გაიმართება შეჯიბრებები ყინულოვან ეტაპზე; გველეთის კლდეებზე.**

ავტორის ფოტოები.

# დრო გამოძებნეთ, მამებო!

„ლელოს" 26 აგვისტოს ნომერში წავიკითხე ინჟინერ სოსო ერთელიშვილის წერილი — „დრო არ გვყოფნის, მამებო!" ჩამაფიქრა. დარწმუნებული ვარ, ბევრს მოხვდებოდა გულზე და ცოტა უფრო სხვანაირად დააკვირდებოდა, გააანალიზებდა შვილებთან ურთიერთობისა და მათი მომავლისათვის ზრუნვის საკითხს.

„ცოტა უფრო" სხვანაირად იმიტომ, რომ არ არსებობს მშობელი, რომელიც შვილის ბედნიერებისთვის არ ზრუნავდეს. ეს აქსიომაა. მაგრამ, ახლა მოდით და ვკითხოთ, რას გულისხმობთ ამ ბედნიერებაშიო. ბევრი სხვა მიზნის ასრულებასთან ერთად — რასაც, ცხადია, საზოგადოებაში მისი შვილის მომავალი მდგომარეობა და როლი უდევს საფუძვლად — „გეტყვით", ჯანმრთელობაო. ხოლო იმათ, ვისაც ეს უკანასკნელი „გამორჩა" მხედველობიდან, რომ შეახსენოთ, აუცილებლად დაგეთანხმებათ, თან გაეღიმებათ: „რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა — ჯანმრთელობა უპირველეს ყოვლისაო!" ამ უნებური ღიმილით კი იმაზე მიგანიშნებთ, რომ ასეთ ჭეშმარიტებაზე ნუთუ ღირს საუბარი, ეს ხომ ისედაც ცხადიაო.

რა გამოვიდა? აბსოლუტურად ყველა მშობელს შვილის ბედნიერება მის ჯანმრთელობასთან ერთად ესმის.

მაშ, რა?

მე ასე ვუპასუხებდი: არც მეტი, არც ნაკლები — იმ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც შვილის ბედნიერებას ვეძახით, ყურადღება შესაბამისად ვერ ვავანაწილეთ, რაღაც უმნიშვნელო გვერდზე დავტოვეთ...

ეს დასაწყისში, მაგრამ მერე?

მერე უმნიშვნელოს უმნიშვნელო მიემატა, წვრილმანს და მეორეხარისხოვანს კიდევ წვრილმანი... ჰოდა, როცა ამ უმნიშვნელოდან მნიშვნელოვანი მივიღეთ, ხშირ შემთხვევაში უკვე არაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება.

ეს მაშინ, როცა, როგორც იტყვიან, შედეგი სახეზეა. მაგრამ ხშირად „შედეგი" აშკარად არ ჩანს. ბავშვს შეხედულებით თითქოს არა უშავს რა, მაგრამ გვიკვირს მისი უნიათობა, უნებისყოფობა. ნერვიულია, ფიცხია, საქმეს გულს ვერ უდებს, უჭირს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რაც თითქოსდა აშკარად ეწინააღმდეგება მის ინ-

# მართლა არ გვყოფნის დრო?

**სარედაქციო ფოსტა**

ტელექტუალურ შესაძლებლობებს. გასაკვირი კი არაფერია. ამას ჩვენ თავიდანვე ჩავუყარეთ საფუძველი, როცა შვილის ბედნიერებისთვის ვზრუნავდით: მაშინ, როცა შვილის ბედნიერებაზე ვსაუბრობდით და გამოგვრჩა ჯანმრთელობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო „გამოგვრჩა" ფიზკულტურა.

სად ვეძებოთ უყურადღებობის მიზეზი? ალბათ ადამიანის ფსიქიკაში: თუ ბავშვი არ ავადმყოფობს, თუ არაფერს უჩივის, ეს უკვე გვაკმაყოფილებს და ყურადღების ის ნაწილიც, ბავშვის ჯანმრთელობისთვის რომ უნდა გვქონოდა განკუთვნილი, აღზრდის სხვა უბანზე გადაგვაქვს... შედეგად კი ამას შეიძლება მოჰყვეს ის ამბავი, რომელმაც აიძულა სოსო ერთელიშვილი რედაქციისთვის მოეწერა წერილი და თავისი გულისტკივილი სხვებისთვისაც გაეზიარებინა.

ეს ყველამ კარგად ვიცით. მაშ, ნუთუ მართლა არ გვყოფნის დრო? სოსო ერთელიშვილის მიერ საკითხის ასე დასმა ირონიას არაა მოკლებული (ეს წერილის ბოლოდანაც ჩანს და საერთოდ, სხვა შემთხვევაში მას არ შეაწუხებდა ეს ამბავი და არც დაწერდა წერილს). ზოგიერთმა კი შეიძლება ასე მართლაც გვიპასუხოს, თანაც თავის გასამართლებლად კი არა, არამედ — დარწმუნებითა და გულისტკივილით. მაგრამ, აბა ერთი დავფიქრდეთ, რამდენი „გადაუდებელი" საქმის გაკეთება შეიძლება ბავშვის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის, როცა მოზარდის ჩამოყრილი მხრები და ჩავარდნილი გულმკერდი მოგვხვდება თვალში, მაშინ ხომ ვიცლით?! არადა, ბევრად უფრო უკეთესი არ იყო, თავიდანვე გვეზრუნა იმისთვის, რომ აქამდე არ მისულიყო საქმე? **მამებო, ნუ გვავიწყდება, რომ ჯანსაღი აღზრდა მომავალი თაობისა, რომლის წარმომადგენლებიც თქვენი შვილები არიან, სულაც არ არის მარტოოდენ პიროვნული საქმე.** ეს დიდი მამულიშვილური მოვალეობაა, და თუ გნებავთ, პატრიოტიზმია. კარგად ამბობდა ვაჟა: „ვინც ბალღებს კეთილგონივრულად ზრდის, იგია გამბედნიერებელი ერისა". მახსენდება ილიას სიტყვები: „ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი დარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან". ასეთი გამონათქვამების მოტანა ბევრის შეიძლება...

ეს ყველამ ვიცით, მაგრამ, ვიქცევით ისე? აი მაგალითად, ბავშვმა რომ გაკვეთილი არ მოამზადოს ან თავის დროზე არ წავიდეს, ვთქვათ მუსიკის წრეზე — გავუბრაზდებით, ერთ ამბავს დავატეხთ, მაგრამ დავფიქრდეთ: რამდენად შევწუხდებით, პატარამ დილის გამამხნევებელი ვარჯიში რომ არ შეასრულოს?

ეს მაგალითი იმის დადასტურებაა, რომ მშობლები საერთოდ ბავშვის სწავლა-განათლების საკითხს უფრო წინ აყენებენ, ვიდრე მისი ფიზიკური განვითარებისას, რაც შემდგომში მის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ფიქრითაა ნაკარნახევი. სულაც არ არის დასაძრახი მისწრაფება! მაგრამ ეს მისწრაფება ზოგჯერ თითქოს გვაბრმავებს და თავის დროზე ვერ ვხვდებით, რომ ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე ყურადღების მოდუნებაც კი აი იმ „მთავარი" მიზნის ღალატია, თუნდაც იმ აქსიომის ძალითაც, რომ ფიზიკურად კარგად განვითარებული, ჯანსაღი ბავშვი უფრო მეტის შეთვისებას შეძლებს, უკეთ ისწავლის. **გამოდის, რომ ჩვენივე გაუფრთხილებლობით ჩვენივე მიზანს ველობებით წინ.**

ამგვარად, დროის უქონლობას ვერაფერს დავაბრალებთ. ვერ დავაბრალებთ უცოდინრობასაც (თეორიულად ხომ ყველაფერზე კარგად ვმსჯელობთ!). ერთადერთი მიზეზი დაგვრჩა — გაუფრთხილებლობა! ხოლო, როცა საქმე შვილის ჯანმრთელობას, მის აღზრდას და მომავალს ეხება, ასეთი „წვრილმანი" გაუფრთხილებლობა არავის ეპატიება! აქ მთავარი სიტყვა სწორედ მამებმა უნდა თქვან. მათ უნდა იზრუნონ შვილის სხეულის გაკაჟებაზე და თუ გნებავთ, სწავლა-განათლებაზეც. ფაქტები კი საწინააღმდეგოს მეტყველებენ.

ერთხელ სხვის მაგივრად მომიხდა სკოლაში მშობელთა კრებაზე მისვლა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა კრებაზე ერთადერთი კაცი მე აღმოვჩნდი. შევწუხდი, მაგრამ, მართალი გითხრათ, თავდაპირველად არა იმიტომ, რომ კაცების ჰპეთი ინერტულობა დავინახე, არამედ იმიტომ, რომ რაღაც შინაგანი არასრულფასოვნების გრძნობა შემომიჩნდა. მერე, როცა ასე თუ ისე შევაფასე და გავაანალიზე სიტუაცია, მივხვდი, რომ ამ გრძნობას მამაკაცური პატივმოყვარეობა იწვევდა. ეს იმ საერთო, მამაკაცების უმრავლესობის მიერ რატომღაც „დაკანონებული" შეხედულებიდან გამომდინარეობდა, თითქოს შვილის აღზრდა და, ცხადია, სკოლაში სიარულიც, უპირველეს ყოვლისა ქალის საქმე იყოს, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. დღეს ბევრი იწერება იმაზე, რომ სხვა ვერავინ შეცვლის მამის როლს ბავშვის აღზრდაში. მითუმეტეს, ბავშვის ფიზიკურ აღზრდასაც მამამ უნდა ადევნოს თვალყური.

**მურად ჟანტურია.**

# ფიესტა

ყველაფერი ის, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, კაცმა საკუთარი თვალით უნდა ნახოს და განიცადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში თხრობას უსათუოდ დააკლდება რაიმე დეტალი — ვთქვათ ფერი, ან მასშტაბურობა, ან ემოცია, ანდა უბრალოდ, აზრთა ჩვეულებრივმა წყობამ სრულყოფილად შესაძლოა ვერც ასახოს ის უჩვეულო და განუმეორებელი სანახაობა, რასაც არგენტინაში დიდი საფეხბურთო ფიესტა ქვია.

ფიესტას არა აქვს წინასწარ შედგენილი სცენარი ან გეგმა. იგი, როგორც მილიონობით არგენტინელის გულიდან ამონახეთქი სიხარული, მთლიანად იმპროვიზებული სანახაობაა, რომელიც ვითარდება ერთი სავალდებულო დრამატურგით — ვის როგორც ულხინს.

მაგრამ ჯერ უსათუოდ უნდა დამთავრდეს ბრძოლა მწვანე საფეხბურთო მინდორზე. ბრძოლა, რომლის შედეგსაც მთელი არგენტინა სუნთქვაშეკრული ელოდება. არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ სად თამაშობს გუნდი. ეს მეორეხარისხოვანი დეტალია. როსარიო მაინც თავის ფიესტას აწყობს, მენდოზა — თავისას... ყველაზე გრანდიოზული და შთამბეჭდავი ზეიმი, რა თქმა უნდა, ბუენოს აირესში იციან.

ფიესტა გამაყრუებელი ხმაურით იწყება. საქმეში ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის ეს მეორედ მოსვლას უფრო გავს, სამყაროს დასასრულს. კაცმა არ იცის რომელი მხრიდან შემოგრიალდება პირველი ავტომანქანა კორიენტესზე — ფიესტის პირველი მახარობელი. მაგრამ იგი უსათუოდ შემოგრიალდება დაბარებულ დროს, რათა ტრადიციული მარშრუტით ჩაიქროლოს ქალაქის მთავარ მაგისტრალზე, თანაც უსათუოდ სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და მერე იქ, სადაც თავისუფლების ოცმეტრიანი ობელისკია აღმართული, უგზო-უკვლოდ დაიკარგოს ზღვა ხალხის მორევში.

პირველ მახარობელს უსათუოდ მეორე მოჰყვება, ისიც საგანგებოდ მორთული და გაწყობილი. მერე მესამე, მეოთხე, მეასე, მეათასე... მანქანების ტიპი ფიესტის კანონებით შეზღუდული არ არის. მცირე ზომის „სიტროენები“ და „ფიატები“ ელიკვებივით რომ დაძვრებიან მოზეიმეთა ჯგუფებს შორის და უსასრულოდ გრძელი და მოუქნელი ლიმუზინები, მრავალტონიანი სატვირთო ცისტერნები და „მერსედესის“ მარკის სამგზავრო ავტობუსები, ეს ყველაფერი, ისევე როგორც პოლიციის ყვითლად მოელვარე ჯიპები, აჭრელებული ტაქსები, მოტოციკლები და ველოსიპედები ფიესტის ოფიციალური ტრანსპორტია. მექანიზირებულ კარნავალს მუდამ ინვალიდთა სავარძლები ჰკეტავენ.

საფეხბურთო ფიესტა, პირველ ყოვლისა, გამარჯვების სიხარულია რიტმისა და ტაქტის მწყობრ მონაცვლეობაში გამოხატული. რიტმი — თეთრ-ცისფერი ალმების, პლაკატებისა და ტრანსპარანტების მოძრაობის, რიტმი — წვრილად დაჭრილი ქაღალდების გადაულეველი წვიმისა, რომელიც რამდენიმე საათის მანძილზე ერთი უწყვეტი ზოლით აერთიანებს ცას დედამიწასთან.

ფიესტას თავისი საკუთარი ტაქტი აქვს. ამ ტაქტს გამოსცემს მოზეიმე ხალხი ყველა სახის საკრავით, საყვირით, ჩვეულებრივი მეგაფონებით და უჩვეულოდ დიდი რეპროდუქტორებით. ფიესტის ტაქტი ყველაზე კარგად სიმღერაში იგრძნობა. ამ სიმღერას ზეიმის ყველა მონაწილე ერთად აგუგუნებს — არგენტინა, არგენტინა, შენ უნდა გახდე ჩემპიონი!

ახალგაზრდობა, ფიესტის ყველაზე აქტიური ნაწილი, ერთიანი რიგებით მიიკვლევს გზას ობელისკისკენ. ასობით ათასი იმპროვიზებული ორკესტრის რიტმს როკვითა და სიმღერით ეგებება რვამილიონიანი ქალაქი.

კორიენტესი ამ ქალაქში დიდ და უმძლარ მდინარეს გვაგონებს, რომელიც უამრავ ვიწრო შენაკადსა იერთებს გადამკვეთი ქუჩების სახით. და ეს ზღვა ტალღა, გზაში ნელ-ნელა აგორებული, საზარელი ხმაურით ეხეთქება ობელისკს. აქ კი ზეიმი უკვე ექსტაზშია შესული.

ერთი ნიშანდობლივი დეტალიც. ფიესტა არ არჩევს, არ ანსხვავებს ადამიანთაგან ქალს თუ მამაკაცს, მოხუცს თუ ახალგაზრდას, რესპექტაბელურ ჩინოვნიკს თუ გრძნობას აყოლილ გულშემატკივარს, ამ დღეს ყველა საერთო სიხარულსა ჰყავს შეპყრობილი და ამ სიხარულს ისე გამოხატავს, ვის როგორც ულხინს.

ფიესტა ერთია და განუმეორებელი, ამიტომ მას ყველაფერი თავისი აქვს — ფერიც, სამკაულიც, ტრანსპორტიც და, ასე გასინჯეთ, ინვენტარიც. ოღონდ ამ უკანასკნელს ხმის გამოცემა უნდა შეეძლოს. — ხან ყურში ჩამწვდომის, ხან გამყინავის, ხან ომახიანის.

ზეიმმა შუაღამეს გადააბიჯა — ობელისკისკენ მიმავალთა ნაკადს არ უჩანს ბოლო. დღეს ალბათ არაფერს არ ექნება ბოლო — არც ამ გაუგონარ სიხარულს და არც თვით ფიესტას. ფიესტა გრგვინავს, ფიესტა კივის, მღერის და ცეკვავს. და მას ბანს აძლევს ქუჩებში გამოყრილი მთელი ქალაქის დანაჩანგლები, რკინის კასრები, ქვაბები, ყველა ნივთი და საგანი, რასაც ხმაური შეუძლია გამოიწვიოს.

გამოუცდელი კაცი უსათუოდ დაიბნევა, ან დაეჭვდება. რა არის ეს? სიხარული? სიყვარული? თუ სიგიჟე? ან იქნებ ერთიც, მეორეც, მესამეც ერთად? პასუხს ნუ ელოდებით. ამ კითხვაზე პასუხი არც არსებობს, ვინაიდან ზოგისთვის ფიესტა სიხარულის გამოხატვის ფორმაა, ზოგისთვის — ფეხბურთის უანგარო სიყვარულის დადასტურება.

# დიდი ფეხბურთის ზეიმი

Argentina '78

მაგრამ ფიესტას ერთი საოცარი თვისება აქვს — მის მიმართ მტრულად ვერ განეწყობით. პირიქით, ფიესტის ყველა მონაწილე თანაგრძნობას იმსახურებს რაღაც საგანგებო უშუალობისთვის და კეთილმოსურნეობისთვის.

ფიესტის დასაწყისი უჩვეულოა და ამიტომაც საინტერესო. მისი პირველი საათი — მასშტაბების გამო თავზარდამცემი. მერე თვალი ეჩვევა ფერების სიჭარბეს, ყური — ხმაურს და რაღაც ბუნდოვანი სურვილი გიჩნდება — შენც გინდა გახდე ამ ზეიმის მონაწილე. თუ მოგწყინდა, ან დაიღალე, შეგიძლია გაეცალო კიდეც მას — ფიესტა ნებაყოფლობითი ზეიმია, არავის არ აკავებს ძალით.

ობელისკამდე მისვლა ჩვენთვის ნაცნობი გზით შეუძლებელია — უსათუოდ საერთო მსვლელობას უნდა შეუერთდე. მაგრამ ეს შესაძლოა რამდენსამე საათს გაგრძელდეს. პარალელური ქუჩები, ამ მხრივ, უფრო მოსახერხებელია. იქ ხალხიც უფრო ცოტაა და ხმაურიც ნაკლები. სულ რამდენიმე წუთში მოედნის მისადგომებთან გავდივართ. აქ გზა მთავრდება. ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლება. ერთხანს ადგილზე ვტრიალებთ, მაგრამ ობელისკის წვერის მეტი არაფერი ჩანს. ადგილს ვუთმობთ უფრო აქტიურად მოზეიმეებს. ეს დღე მათია და, ცხადია, ადგილიც, რომელიც ახლა ჩვენ გვიჭირავს, მათ უფრო ეკუთვნით.

სასტუმროში იმავე გზით ვბრუნდებით, მაგრამ რა დაგვაძინებს ამ საერთო ორომტრიალში? ფიესტა მხოლოდ გამთენიის ხანს დამთავრდება, ე. ი. ჩვენც სიფხიზლე გვიწერია გათენებამდე.

გარეთ ნაცნობი მელოდიის ხმა ისმის. ეს მელოდია კარგა ხანია ყურში გვიწივის — არგენტინა, არგენტინა, შენ უნდა გახდე ჩემპიონი! ფიესტა ევედრება მომავალ გმირებს, ფიესტა მოუწოდებს მათ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ეს არც ვედრებაა და არც მოწოდება. ეს უფრო სულის კივილია, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ახალი ჩემპიონის ჰიმნად უნდა გადაიქცეს, სიხარულის და გამარჯვების ჰიმნად.

ფიესტას სჯერა ამის, ფიესტას სხვა არჩევანი არცა აქვს.

რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს საუბარი ჰქონდა ჩემპიონატის მსაჯებთან. ფიფა-ს წესების თანახმად ყველა ასეთი საუბარი გასაიდუმლოებულია პრესისთვის, მაგრამ რაღაც არხებით ინფორმაცია მაინც გაძვრა ზოგიერთი გაზეთის ფურცლებზე, გაძვრა და მაშინვე სკანდალი დაიწყო.

აველანჟეს უთქვამს:

— უნდა ვეცადოთ, რომ დარჩენილი მატჩები უაღრესად ზუსტად და ობიექტურად ვიმსაჯოთ. ჩვენი მთავარი მიზანია, არ გავაფუჭოთ ფეხბურთის დიდებული ზეიმი.

პრეზიდენტის სიტყვებს განსაკუთრებით უცხოეთის პრესა ჩაეჭიდა: რატომ მაინც და მაინც დარჩენილი მატჩები? რატომ მანამდე არ იყო ასეთი გაფრთხილება? ხომ არ ნიშნავს ეს იმის აღიარებას, რომ ადრე უზუსტობასაც ჰქონდა ადგილი და არაობიექტურობასაც? გარდა ამისა, რომელ ზეიმზე შეიძლება ლაპარაკი დღეს, როცა, ჯერ კიდევ არაფერია გარკვეული. ისიც არ იცის არავინ, თუ ვინ გამოვა გამარჯვებული ნახევარფინალურ ჯგუფებში?

ყველაზე დიდი ყაყანი, რატომღაც, ინგლისურ პრესაში ატყდა. არადა წესით, სწორედ ინგლისელებს არა აქვთ სათქმელი არაფერი.

მახსენდება 1966 წლის ჩემპიონატი. რამდენი მწარე სიტყვა, რამდენი საყვედური გამოითქვა მაშინ ფიფა-ს პრეზიდენტისა და მსოფლიოს ახალი ჩემპიონის მისამართით? სამხრეთ ამერიკის პრესამ მართლაც დაუნდობელი კამპანია გააჩაღა სტენლი როუზის წინააღმდეგ. ხომ არ უხდის ინგლისი სამაგიეროს ახალ პრეზიდენტს?

მაგრამ თორმეტი წლის წინ ბევრი გაუგებარი რამ მოხდა ინგლისის საფეხბურთო მინდვრებზე, ბევრი ფატალური დამთხვევა. და ყველაფერი ახალი ჩემპიონის სასარგებლოდ. ფიფა-ს პრეზიდენტი მაშინ ინგლისელი იყო, ფინალურ ტურნირს ინგლისი მასპინძლობდა, ყველა სადაო საკითხი (განსაკუთრებით სამხრეთამერიკულ გუნდებთან კონფლიქტის დროს) ინგლისელთა სასარგებლოდ გადაწყდა და ბოლოს, ჩემპიონიც ხომ ინგლისი გახდა? სტენლი როუზის ავტორიტეტი მსოფლიო ფეხბურთში სწორედ ამ ჩემპიონატის მერე შეირყა, რასაც საბოლოო ჯამში პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა.

...რა ნახა ასეთი სასკანდალო ინგლისის პრესამ აველანჟის სიტყვებში? ან სად იყო იმის გარანტია, რომ პრეზიდენტმა ზუსტად ასე ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი? ამ შეხვედრის შესახებ ოფიციალურმა პრესამ არაფერი იცოდა. ეს ერთი. და მეორეც — რატომ მაინც და მაინც ასე გადაბრუნებულად უნდა გავიგოთ აველანჟის სიტყვები: ვეცადოთ არ გავაფუჭოთ ფეხბურთის დიდებული ზეიმით.

რა არის საგანგაშო ან ხელმოსაკიდი ამ ნათქვამში? განა ფეხბურთის ჭეშმარიტ ზეიმს არ მასპინძლობს არგენტინა, თანაც ასეთი გაქანებითა და ღირსებით? განა შეიძლება ფიესტის შემდეგ რაიმე ეჭვის შეტანა ხალხის ობიექტურობასა და კეთილმოსურნეობაში? არგენტინას მართლაც აქვს სურვილი, თავისი გუნდის გამარჯვებისა. მაგრამ მას უნდა, რომ ეს პატიოსან ბრძოლაში მოხდეს, მწვანე მინდორზე, ყველა საფეხბურთო კანონის დაცვით. უღირს ჩემპიონს ფიესტა არც მიიღებს.

და კიდევ ერთი. რატომ უნდა იყოს არგენტინის მომხრე აველანჟე, თავით ფეხებამდე ბრაზილიელი და თავისი ქვეყნის ფეხბურთში უზომოდ შეყვარებული ადამიანი? განა ბრაზილიას ამ ჩემპიონატში გამარჯვების შანსები არ გააჩნია?

და თუ პრეზიდენტმა მართლაც თქვა რამე არგენტინის სასარგებლოდ, მან პირველ ყოვლისა მხედველობაში მიიღო ის დიდი მსხვერპლი, რაც ქვეყანამ გაიღო ფეხბურთის დიდებული ზეიმის მოსაწყობად.

განსაჯეთ თავად: არგენტინაში 50-ათასამდე უცხოელი ტურისტის ჩამოსვლას ელოდნენ. ტურისტულ ბიზნესს ოდნავ მაინც უნდა შეევსო ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციისა და საორგანიზაციო კომიტეტის დაცარიელებული ხაზინა. სინამდვილეში კი ქვეყანას მხოლოდ 25 ათასი უცხოელი ტურისტი იწვია. ესე იგი მხოლოდ ნახევარი.

ეს ერთი მსხვერპლი. ახლა მეორე, უფრო სწორად ზარალი, რომელიც ადგილობრივი ტელევიზიის ორჯერადმა რეკონსტრუქციამ გამოიწვია. ფიფა-ს დებულების თანახმად ქვეყანას, რომელსაც მოძველებული ტელე და რადიოკომუნიკაციები აქვს, ჩემპიონატის ორგანიზაციის უფლება არ ეძლევა. ამავე დროს, ტელევიზია უსათუოდ ფერადი უნდა იყოს. არგენტინამ ძველი ტელესისტემა თავდაპირველად საკუთარი ძალებით გადააკეთა, მაგრამ ფიფა-ს სპეციალურმა კომისიამ დაიწუნა გამოსახულების ხარისხი. საჭირო გახდა გფრ-დან სპეციალისტების მოწვევა და მთლიანად ახალი ტელეცენტრის აგება. ეს ყველაფერი ხარჯებთან იყო დაკავშირებული, თანაც ორმაგთან.

ახლა სტადიონები? არგენტინამ, რომელსაც სტადიონების სიმრავლით პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში, მთლიანად განაახლა თავისი ბაზები. ესეც თავისებური მსხვერპლი იყო, რომელზეც უყოყმანოდ წავიდა საორგანიზაციო კომიტეტი. და თუ ყველაფერ ამის საფასურად არგენტინის გუნდი თავისი ხალხის მრავალი წლის ოცნებას ფრთებს შეასხამდა, რატომ უნდა გაეფუჭებინა ერთ უსინდისო სასტვენს ფეხბურთის ეს დიდებული ზეიმი?

მაგრამ აველანჟის სიტყვების გარშემო უსასრულოდ შეიძლება დავა, თუ კი ახალ არგუმენტებს დაუწყებთ ძებნას და სოფიზმში გადავვარდებით.

აი კიდევ ერთი ინგლისური ვერსია აველანჟის წინააღმდეგ: პრეზიდენტი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ჩემპიონატს მასპინძლები მოიგებდნენ და სწორედ იმას უკიჟინებდა არბიტრებს, ზეიმს ნუ გავაფუჭებთო. ვინ მისცა ამის გარანტია აველანჟეს, მით უმეტეს თუ პირველ ნახევარში არგენტინას არაფერში ჩამორჩებოდა იტალია, მეორეში კი ბრაზილია და ჰოლანდია?

გამოგიტყდებით, არგენტინაში ჩასვლამდე მეც, ისევე როგორც ბევრი თქვენგანი, ჰოლანდიის გუნდის მომხრე ვიყავი. ჩემი არჩევანის სასარგებლოდ ათასი არგუმენტის მოყვანა შემიძლია, თუმცა ამჯერად ეს არ არის საინტერესო. მაგრამ როგორც ფეხბურთის ჭეშმარიტ გულშემატკივარს, უფლება არა მაქვს არ ვაღიარო, რომ არგენტინამ ეს ჩემპიონატი ღირსეულად მოიგო, ისე, რომ ხელი არავის გადაუსვია თავზე.

მართალია, ტურნირის პირველ ეტაპზე იტალიამ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და ჩემპიონატი მაშინვე რომ დამთავრებულიყო „სკუადრა აძურა“ უსათუოდ გამარჯვების ღირსი იქნებოდა, მაგრამ ფინალი, როგორც ცნობილია, რამდენიმე ეტაპისგან შედგება და ის, ვინც უმაღლეს ტიტულზე პრეტენზიას აცხადებს, ბოლომდე უნდა იყოს ღირსეული.

სამაგიეროდ ბრწყინვალედ ჩაატარა ტურნირის მეორე ნახევარი ბრაზილიამ. ისიც მართალია, რომ ამ გუნდს მთელი ჩემპიონატის მანძილზე არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, მაგრამ, ყველა ხომ ვერ მოიგო? განა ეს კონტრარგუმენტი არ არის? ამბობენ, ბრაზილიას მეტი მორალური უფლება ჰქონდა უმაღლეს ტიტულზეო. არ მესმის რატომ? მაშინ როგორღა ავხსნათ სამი ფრე შვეციასთან, ესპანეთთან, არგენტინასთან? არა, მსოფლიო ჩემპიონატს ერთი ობიექტური კრიტერიუმი აქვს. უძლიერესია ის გუნდი, ვინც ფინალამდე მივა და მერე ამ მთავარ ბრძოლასაც მოიგებს. დავას იმის შესახებ, თუ რა სჯობია — სამი ფრე, ერთის მხრივ, თუ ერთი წაგება და ერთი ფრე მეორეს მხრივ, აზრი არა აქვს თუნდაც, იმიტომ, რომ ასეთი დავა არასოდეს არ დასრულდება.

ჰოლანდიასაც შეეძლო იგივე პრეტენზიის წამოყენება. უფრო მეტიც, ჰოლანდია მთლად ახლოს იდგა მიზანთან, რენსენბრინკის დარტყმა ძელს რომ არ მოხვედროდა. მაგრამ მაშინ ვერც დამატებით 30 წუთს ვნახავდით და დაგვრჩებოდა არასწორი შთაბეჭდილება, რომ ჰოლანდიამ აჯობა არგენტინას. სინამდვილეში კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამას საფეხბურთო ლოგიკა მოითხოვდა. არგენტინა აღმავალი გზით მიდიოდა ფინალისაკენ და სწორედ იქ, სადაც ყველაფერი წყდება, ჩემპიონის საკადრისი თამაში აჩვენა.

ნ. გუგუშვილი.

## ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პრეტენდენტის „ტაიმ-აუტი“

**ბიჭვინთა,** 9 სექტემბერი. ქალთა შორის ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის მერვე პარტია არ შედგა. იგი გაიმართება 11 სექტემბერს — პრეტენდენტმა აიღო მეორე „ტაიმ-აუტი“.

●

### პარტია გადაიდო ჩემპიონის უპირატესობით

**გუშინ** ბაგიოში (ფილიპინები) შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის მეოცე პარტია. იგი გადაიდო ა. კარპოვის მცირე უპირატესობით.

ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 4:1 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

### მხოლოდ ვიცე-ჩემპიონები

მეხიკოში დამთავრდა ახალგაზრდა (26 წლამდე) მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველი გუნდური ჩემპიონატი. ფინალურ ტურნირში 10 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ინგლისის გუნდმა — 26,5 ქულა. II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ნაკრებმა (დიდოსტატები ა. ბელიავსკი, ა. კოჩიევი, საერთაშორისო ოსტატები ა. პანჩენკო, ა. მიხალჩიშინი, სათადარიგონი — ოსტატები ა. ივანოვი, ვ. გავრიკოვი) — 26. III ადგილზეა კუბის გუნდი — 24,5.

I დაფაზე საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ბელიავსკიმ და გ. გარსიამ (კუბა), რომლებმაც შესაძლებელ ქულათა 82 პროცენტი მოაგროვეს.



### არის ნორმატივი!

ამას წინათ ვინიცამ (უკრაინა) უმასპინძლა სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების მოშაშეთა გუნდურ პირველობას. 14 მოასპარეზე კოლექტივს შორის იყო თბილისის უნივერსიტეტის ნაკრებიც (ოსტატი ს. თომაშვილი, ოსტატობის კანდიდატი ზ. ქიტუაშვილი, შ. კოჩიევი, რ. ქერდიყოშვილი და სოფიო გიჯაშვილი).

ჩვენმა გუნდმა მხოლოდ VI ადგილი დაიკავა. კარგად ითამაშა რ. ქერდიყოშვილმა. მან კარგად აღებული სტარტი სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებით დააგვირგვინა: 8,5 ქულა მოაგროვა 13 შეხვედრაში. თბილისელმა მოშაშემ ცალკეული პოზიციების და ენდშპილის პრობლემათა გადაწყვეტის კარგი ცოდნა გამოავლინა.

**ს. თომაშვილი,**
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: რ. ქერდიყოშვილი.
ავტორის ფოტო.

## შაში



# გ. გრიფიტსი: „თამაშები დიდი წარმატებით ჩატარდება“

**ლიმა.** პერუელი სპორტსმენები გაცხოველებით ემზადებიან მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თქვა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გილერმო გრიფიტსმა. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებულ იმედებს ფრენბურთელ ქალთა გუნდსა და მოკრივეებზე ამყარებს. სულ 30 ათლეტი იქნება პერუს ოლიმპიურ ნაკრებში, რომლის შემადგენლობა 1979 წლის პუერტო-რიკოს პანამერიკული თამაშების შემდეგ დაზუსტდება.

პერუელი სპორტსმენების უმაღლეს ოლიმპიურ მიღწევად რჩება 1948 წლის, ლონდონის ოლიმპიადაზე ვასკესის მიერ მოპოვებული ოქროს მედალი სროლაში.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — თქვა გ. გრიფიტსმა. — XXII ოლიმპიური თამაშები საბჭოთა კავშირში დიდი წარმატებით ჩატარდება. როგორც ვიცით, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, ჩატარებულია უდიდესი მოსამზადებელი სამუშაო. შენდება სპორტული ნაგებობები, იქმნება აუცილებელი პირობები როგორც სპორტსმენთათვის, ასევე მრავალრიცხოვანი სტუმრებისთვის.

გრიფიტსს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნია ქვეყანაში ბავშვთა სპორტის განვითარება. ამჟამად პერუში ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთისა და სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობა — ფეხბურთის განვითარებისთვის. ამ მხრივ სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელი მწვრთნელებისა და სპეციალისტების დახმარებით ხორციელდება. ამ საქმეში თავიანთ წვლილს შეიტანენ პერუელი მწვრთნელები და მასწავლებლები, რომლებიც სპეციალურად ემზადებიან ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით. (საკდესი).

## პოლონეთის ფირმა შეკვეთას ასრულებს

**ვარშავა.** პოლონეთის ფირმა „მორსი“ ოლიმპიადა-80-ისთვის დაამზადებს იახტებისთვის ქარის ძალისა და ნავის სისწრაფის განმსაზღვრელ მოწყობილობას. ამ ფირმას შემთხვევით არ მიუღია ოლიმპიადის საპატიო შეკვეთა. მას ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს. იგი სოციალისტური ქვეყნების მსგავსი თირმიბიდან პირველია და შეიქმნა 1949 წელს.

საწარმო ამჟამად თავის პროდუქციას გზავნის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში. აგრეთვე საფრანგეთში, გფრ-ში, იტალიაში, თინეთსა და სხვა სახელმწიფოში.

„მორსის“ კოლექტივი განსაკუთრებული მონდომებით ასრულებს შეკვეთას ოლიმპიადა-80-ისთვის.

## ფეხბურთი

### „არარატი“ — ინდოეთში

**დელი,** 9 სექტემბერი. ერევნის „არარატის“ ფეხბურთელები გავიდნენ კალკუტაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში. მათ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ადგილობრივი კლუბი „არიანზ კლაბი“. ბურთები გაიტანეს მელიქიანმა და ხაჩატრიანმა.

11 სექტემბერს „არარატი“ შეხვდება „მოჰამენდან სპორტინგს“.

**სსრ კავშირის** ოთხ ქალაქში დამთავრდა წყალბურთელთა გუნდების ტურნირები საკავშირო თასზე.

მეოთხედფინალურ ტურნირში ხარკოვში გაიმარჯვეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის (მოსკოვი) სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივის“ წყალბურთელები (ნახევარფინალურ ტურნირს მოსკოველები 2 ქულით დაიწყებენ, ვინაიდან მათ ხარკოველები დაამარცხეს ანგარიშით 6:4).

მეზღვაურებისა და რკინიგზელების მეტოქეები ყაზანში ასპარეზობამ დაასახელა. აქ ყველას აჯობეს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა — 5 ქულა. II ადგილზე არიან წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (ბაქო) წარმომადგენლები, რომლებიც დამარცხდნენ თბილისელებთან — 5:6.

ზემოთდასახელებული ოთხი გუნდი შეადგენს ერთ ნახევარფინალურ ჯგუფს, რომელიც ორი საგზურისთვის იბრძოლებს ბაქოში 15-16 სექტემბერს.

ლვოვში გაიმარჯვა ალმა-ათის „დინამომ“, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის II

## წყალბურთი

ადგილზე [illegible] ლენინგრადის თანაკლუბელები — 7:5.

[illegible] ქულების ერთნაირი რაოდენობა (7) დააგროვეს ტაშკენტის „მეხნატმა“ და კიევის „დინამომ“ (მატჩი მათ შორის ფრედ — 6:6 დამთავრდა).

ფინალი გაიმართება 23-25 სექტემბერს მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის აუზში, სადაც გამოვლენ ბაქოსა და კიევში I-II ადგილებზე გასული გუნდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წინა წერილში ჩვენ გესაუბრეთ პროფესიული კრივის ჩრდილოვანი მხარეების შესახებ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროფესიულ კრივს ჰყავდა ტყავის ხელთათმანის შესანიშნავი ოსტატები.**

**მსოფლიო კრივის ორმა ტიტანმა ჯეკ დემპსიმ და ჯონ ტუნეიმ მთელი ეპოქა შექმნეს სპორტის ამ სახეობის ისტორიაში. ორთავენი აღიარებული არიან ყველა დროის ერთ-ერთ პირველთაგან მოკრივეებად. დემპსი ითვლება ძალისმიერი კრივის უბადლო წარმომადგენლად, ტუნეი კი უებრო ტაქტიკოსად.**

ე. გიორგაძე,

საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

# მსოფლიო კრივის ორი ვარსკვლავი



ჯეკ დემპსი

მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ჯეკ დემპსიმ (ვილიამ ჰარისონი) ბრწყინვალე საბრძოლო გზა განვლო. მოკრივედ იგი ერთმა შემთხვევამ აქცია. დემპსი ახალგაზრდობისას მუშა იყო. ერთხელ სამსახურში მიმავალი დემპსი აბუჩად აიგდო ქუჩის ბიჭების მეთაურმა. შეურაცხყოფილი ყმაწვილი მას მუშტით გაუსწორდა. რაკი იმ უბნის ყოჩი ასე დაჯაბნა, დემპსის საკუთარი ძალმოსილების რწმენა ჩაესახა. მისი მომავალიც ამ ფაქტმა განსაზღვრა.

კრივისათვის თითქოსდა საგანგებოდ შობილი დემპსი ძალიან მალე გავიდა დიდ სარბიელზე. ის გამოირჩეოდა ფიცხი ტემპერამენტით, საშინელი ძალის დარტყმით, შეუპოვრობითა და განუზომელი სიმამაცით. ამას ერთვოდა დიდი გაწაფულობა კრივის ხერხებში. ამ დიდებულ ათლეტს არ სჩვეოდა არავითარი ფიორიტურები. იგი ისწრაფოდა ბრძოლა მყისიერად დაემთავრებინა ნოკაუტით და უმეტეს შემთხვევაში ამას ახერხებდა კიდეც. მან პირველსავე რაუნდებში ნოკაუტით დაამარცხა ბილი მაისკი, ჟორჟ კარპანტიე, იაუნგ გვარინი. დემპსის ეკუთვნის თავისებური რეკორდიც — მან 14 წამში ნოკაუტით მოუგო ძლიერ მოკრივე ფრედ ფულტონს.

მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებებისა, დემპსის დაუოკებელი ტემპერამენტი ზოგჯერ ცუდ სამსახურს უწევდა და ამ მიზეზით მისი კარიერის დასაწყისში, წარმატებათა სიაში თითო-ოროლა წაგებაც ურევია. იგი დაამარცხეს ჯეკ დაუნიმ, უილი მიჰენმა, ხოლო ჯიმ ფლინმა ნოკაუტითაც კი მოუგო. ოღონდ ეს იყო, „უძლეველი“ მეორედ შეხვედრისას ყოველთვის ათკეცად მიუზღავდა ხოლმე მას ხელმყოფთ. დემპსი განუმეორებელი ინფაიტერი გახლდათ. ახლო მანძილზე მებრძოლის მოქმედება, როგორც ცნობილია, დაფუძნებულია მოკლე, მაგრამ ნოკაუტის გამომწვევ დარტყმებზე და ამ მხრივ დემპსის ბადალი არ ჰყავდა.

ინფაიტინგი ყველაზე მეტად ესადაგებოდა მის სულიერსა და ფიზიკურ მონაცემებს იგი ამოსუნთქვას არ აცლიდა მეტოქეს, ნიადაგ იმის ცდაში იყო, რინგის თოკებთან მიემწყვდია მოწინააღმდეგე და იქ მოეღო მისთვის ბოლო. არც შემხვედურ ბრძოლას გაურბოდა, პირიქით, თამამად ეგებებოდა შემოტევას, წარბშეუხრელად იღებდა დარტყმებს და, როცა მეტოქე გაიხსნებოდა, მედგრად ერთვოდა ბრძოლაში. მან არ იცოდა რა იყო უკანდახევა. რინგზე შემდრკალი დემპსი არავის უნახავს. ამის დასტურმყოფელი მაგალითია მისი დრამატიზმით ალსავსე შეხვედრა დიდად ლონიერ არგენტინელ მოკრივე, ლუის ანჯელემ ფირპოსთან. დემპსიმ პირველსავე რაუნდში დარბაზში მოიღო ზლართანი, ზედ მაყურებლებს დაენარცხა — „პამპასების ბუღა-კამეჩად“ მონათლულმა ფირპომ იგი უძლიერესი დარტყმით გააძვრინა რინგის თოკებს შორის, დარეტიანებულმა დემპსიმ ძლივს აითრია წელი. ამ დროს გონგმაც დაჰკრა. სხვა მის ადგილზე უთუოდ ფარ-ხმალს დაჰყრიდა, დემპსიმ კი ძალა მოიკრიბა, ეკვეთა მეტოქეს, რამდენჯერმე დააგდო და მეორე რაუნდში ნოკაუტითაც მოუგო.

დემპსი ბრძოლის დროს იყენებდა „დოლისებრ დარტყმებს“ — ერთი და იგივე ხელით ურტყამდა ზედიზედ (ჩვეულებრივ განმეორებით დარტყმებში ერთმანეთს მორიგეობით ენაცვლება ორივე ხელი).

ცნობილია ამ ტოლდაუდებელი ინფაიტერის მიერ გამოგონილი ილეთი „მზებორბალა“. დემპსი წაიხრებოდა ხოლმე წინ და იწყებდა სხეულით წრიულ მოძრაობას ზევით და მარჯვნივ. ასე ემზადებოდა ახლო ბრძოლაში ჩასართველად, მერე კი ელვისებურად მოიქნევდა მარცხენა ჰუკს...

გამანადგურებელი გახლდათ მისი ორმაგი შემხვედური. როცა მეტოქე მარცხენა პირდაპირით შეუტევდა და ეპირებოდა მარჯვენაც მოექნია, დემპსი ამ დარტყმას მყას პასუხობდა მარცხენა პირდაპირით და უმალვე მოუნაცვლებდა მარჯვენა პირდაპირს. თუკი მარჯვენა რიგიანად გაუჭრიდა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მეტოქე უგრძნობლად არ გაეშოტოს.

1919 წელს მან მე-3 რაუნდში ძირს დასცა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ახოვანი კოვბოი ჯეს უილარდი და თავად დაიმკვიდრა ეს ტიტული.

დემპსიმ ააღორძინა ამერიკული კრივის ჰეროიკული ტრადიციები. მებრძოლის ყველა თვისებით შემკული ეს სპორტსმენი, კრივის მოყვარულთა სათაყვანებელ კერპად იქცა.

„ადამიანისადმი სიამაყის გრძნობით ალვივსე, როცა ხელი ჩამოვართვი მსოფლიოში უძლიერეს მამაკაცს ჯეკ დემპსის“, — წერდა განთქმული კინოვარსკვლავი გრეტა გარბო.

(გაგრძელება იქნება).



# საჭადრაკო გვირგვინისთვის

ასეთი სათაურით გამოვიდა ქა- ლთა მსოფლიო პირველობის ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურ- დანიძის მატჩისადმი მიძღვნილი საქართველოს სპორტკომიტეტისა და რესპუბლიკური საჭადრაკო ფედ- ერაციის სპეციალური ბიულეტენ- ის პირველი ნომერი.

ბიულეტენის ეს ნომერი მკით- ველს აცნობს მატჩის საზეიმო გახ- სნას ბიჭვინთაში, თამაშის პირობ- ებს, მეტოქეთა სპორტულ ბი- ოგრაფიებს. დასტამბულია მატჩის პირველი პარტია საერთაშორისო დიდოსტატ ე. გუფელდის დაწვრი- ლებითი კომენტარით.

ბიულეტენში არის აგრეთვე, [illegible] რილი ბაგიოში (ფილიპინები) [illegible] ქთა მსოფლიო პირველობაზე კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის მსვლელობაზე. დაბეჭდილია ორთაბრძოლის მეჩვიდმეტე პარ- ტია.

უხვადაა მოყვანილი ცნობები საზღვარგარეთის საჭადრაკო ცხ- ოვრებიდან.

## ფეხბურთის სამყარო

### ისვენებენ

მსოფლიო ჩემპიონი — არგენტინის ნაკრები წლის ბოლომდე არ ჩაატარებს არც ერთ საერთაშორისო მატჩს. არგენტინელებმა უარი განაცხადეს იმ ერთადერთ შეხვედრაზეც, რომელიც ადრე იყო დაგეგმილი (29 ნოემბერს ლონდონში ინგლისის ნაკრებთან). ამას მიმომხილველები იმით ხსნიან, რომ სადღეისოდ არგენტინის ნაკრები ფაქტიურად აღარ არსებობს. მოთამაშეთა დიდი ნაწილი უცხოეთში გაემგზავრა.

### ჰ. ერერა — პარაგვაელთა მწვრთნელი

ცნობილი ურუგვაელი სპეციალისტი ჰერიბერტო ერერა, რომელიც სხვადასხვა დროს ესპანეთისა და იტალიის ცნობილ კლუბებს ედგა სათავეში, ახლა პარაგვაის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მას დაევალა ამ გუნდის მომზადება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატისთვის.

# „სპორტლოტო“

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი — 36-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო“ 6-49-დან:**

**პირველი:** 26 (მოტობურთი), 27 (მოტოსპორტი), 31 (ცურვა), 33 (რეგბი), 34 (ხელბურთი), 42 (ძალოსნობა), შეღავათიანი ბურთულა 25 (ტრამპლინიდან ხტომა).

**მეორე:** 21 (საცხენოსნო სპორტი), 24 (სათხილამურო სპორტი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 36 (სლალომი), 38 (მშვილდოსნობა), 39 (სამბო), შეღავათიანი ბურთულა 44 (ფიგურული ციგურაობა).

**„სპორტლოტო“ 5-36-დან:**

**პირველი:** 2 (ბიატლონი), 7 (ველოტრეკი), 15 (ძიუდო), 17 (ციგურები), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი).

**მეორე:** 16 (ცხენოსნობა), 17 (ციგურები), 19 (სათხილამურო რბოლა), 20 (ტრამპლინიდან ხტომა), 36 (შაიბიანი ჰოკეი).

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**


**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

(აკ. წერეთლის გამზ. № 2).

13 სექტემბერს

**ფეხბურთი**

უეფა-ს თასის გათამაშება

**„დინამო“ (თბილისი) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი, იტალია)**

დასაწყისი 19 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 11 და 12 სექტემბერს დილის 10 საათიდან, აბონემენტებზე — 11 და 12 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონის სალაროებში № 7-დან 18-მდე, დილის 10 საათიდან.

ძალაშია აბონემენტის ტალონი მ-1.

საერთო გაყიდვა 13 სექტემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-5[illegible]; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02197